ჩემი საქართველო

№82, ოქტომბერი, 2023

რუსთავის აკადემიური ქალაქის საგანმანათლებლო-შემეცნებითი გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეროობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები

გარი ჩაფიძე: – გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



– შესწევს თუ არა უნარი განათლებას, შეცვალოს საზოგადოება? პასუხი მარტივია: – დიახ! მხოლოდ ყოველივე პედაგოგიურ ხელოვნებაზეა დამოკიდებული, რამეთუ მოსმენა, ძალაუნებურად ბევრმა ჩვენგანმა ისწავლა, მაგრამ ისეთი საუბარი – მოსმენად რომ ღირდეს... ალბათ ბევრმა ვერა! არადა მოსმენით ურთიერთობა ხომ ლექციის ხარისხია, რომელშიც ლექტორის სიტყვიერი ხელოვნებაა ძირითადი, ვოცნებობ იმ დროზე, როდესაც დაიბადება მეთოდიკის ახალი ჟანრი, – ლექციის მხატვრული პუბლიკაცია, სადაც ნათლად წარმოჩინდება ორმაგი ხელოვნება: ლექტორისა და კიდევ იმისი, ვინც ნანახ ლექციას სურათად წარმოსახავს!

აღზრდის ხელოვნება ერთ-ერთი უძველესი და ურთულესია, იწყება იგი საოცრად უბრალო და უეშმაკო ამოცანისაგან: მიიღო და შეიყვარო სტუდენტი ისეთი, როგორიც ის არის! თუკი ლექცია ურთიერთობაა და არა უბრალოდ შრომა: ხელოვნება და არა მხოლოდ სასწავლო ღონისძიება; ცხოვრება და არა საერთო განრიგში ჩასმული საათები, მაშ უფრო ხშირად ჰკითხეთ საკუთარ თავს: – რატომ შევდივართ ლექციაზე? ჩვენ სტუდენტებთან მივდივართ(!) რათა ისინი ჩვენზე უკეთესები, კეთილები, ჩვენზე უფრო ჰუმანურები, ჩვენზე ძლიერები და მამაცები იყვნენ, რამეთუ წინსვლისას გამოზომონ გამოსავალი ყველა სიძნელიდან და უკან არ დაიხიონ; რამეთუ თითოეული თავად ქმნიდეს საკუთარ ბედს და არ შენატროდეს სხვის ლამაზად მოწყობილ ცხოვრებას... აღმზრდელ-პედაგოგებმა, ლექტორებმა მწვავედ უნდა დავუსვათ კითხვები საკუთარ მეს, – რა აზრები გადავეცი სტუდენტებს? რა გრძნობები გავუღვივე მათ? – რაზე ფიქრობდნენ მაშინ, როცა ვესაუბრებოდი? – იქნებ სულაც არ მისმენდნენ და არც არაფერზე ფიქრობდნენ? ან იქნებ ფიქრობდნენ იმაზე, რაც სულ არ მითქვამს, მიყურებდნენ მე და ფიქრობდნენ თავისაზე?

ყოველი სტუდენტი ორი პროგრამით სწავლობს, ერთი სალექციოა, მეორე საშინაო და მას კარის მეზობელი, იმავე სადარბაზოში მცხოვრები ყმაწვილი ან რომელიღაც დაქალი განაგებს, ორივე პროგრამა უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს ყოველდღიურობაში!

ლექციაზე შესვლა ნიშნავს, ადამიანის სულში შესვლას, კაცობრიობის სულის მთავარი თვისება კი ისაა, რომ მას სწყურია ურთიერთობა, შეხება, კონტაქტი მეორე ადამიანის სულთან. დიახ, ურთიერთობა, რომელიც სათავეს სასწავლო პროცესის ყოველდღიურობიდან იღებს, ჩვენთან, რუსთავის აკადემიურ ქალაქში სწორედ ურთიერთობებზე, კოლეგიალურობაზეა დამოკიდებული ცოდნის კრიტერიუმი. აქ მაღალ დონეზე ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი და მასთან არსებული მომზადება-გადამზადების ცენტრი, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებითაა, ჩვენთან გაიხსნა საქართველოში აკრედიტირებული საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი, გვაქვს უკრაინის საკადრო პოლიტის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლობა და საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ხელოვნების კუთხით კი საქართველო-საბერძნეთის ხელოვნების საერთაშორისო ინსტიტუტი, ამდენად, რუსთავის აკადემიური ქალაქი საშუალებას აძლევს თითოეულ სტუდენტს, შეიქმნას წარმატებული და მეტად საინტერესო მომავალი, სწავლის პროცესი ჩვენთან სახალისო, იმიტირებული, მეცნიერული და თითოეულ თქვენგანზე ორიენტირებულია, ეს იდეალური ადგილია სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის...

გწამდეთ, თქვენს მიერ დაუფლებული პროფესიით და შესაბამისი მოტივაციით, აუცილებლად ამოხსნით ცხოვრებისეული წარმატების ფორმულას!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! დაე ჩვენს კედლებში გატარებული წლები ყოფილიყოს სათავე თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების მარადიული აღმავლობისა!

პირველი ქართული საუნივერსიტეტო განათლება საზღვარგარეთ!

– საოცნებო საკითხი, რეალობად იქცა! დიახ უკრაინაში, ჩერკასის ოლქის ქალაქ კანევის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტში უკრაინული და ინგლისური სექტორების პარალელურად ქართული სექტორი იფუნქციონირებს, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე, კორდინაცია დაევალათ ჩერკასის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს ხელმძღვანელის ვიტალი დანილევსკის, ჩერკასის ბოგდან ხმელინცკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (რექტორი, პროფესორი ალექსანდრე ჩერევკო) კამენეც-პოდოლსკის (ხმელინცკის ოლქი) სახელმწიფო უნივერსიტეტს (რექტორი, პროფესორი სერგეი კოპლოვი) და უმანის (ჩერკასის ოლქი) სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტს (რექტორი, პროფესორი ალექსანდრე ბეზლიუდნი) ამ დღეებში, ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარე, უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, სამუშაო ფორმატში ესტუმრა თავის უმანელ კოლეგას, სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალექსანდრე ბეზლიუდნის, შეხვედრაზე განხილული იქნა ურთიერთთანამშრომლობის რიგი საკითხები, ხელი მოეწერა ხელშეკრულებათა თორმეტ პაკეტს და დაისახა მომავლის პერსპექტივები, შეხვედრას, რომელმაც თბილ, პროფესიონალურ და კოლეგიურ ურთიერთობაში ჩაიარა, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრებთან და რექტორატის სრულ შემადგენლობასთან ერთად ესწრებოდა უმანის სახელმწიფო რადას დეპუტატი, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი გედზიკი, რომელმაც საკუთარი, დადებითი პოზიცია დააფიქსირა სამეცნიერო ურთიერთობების აღნიშნულ მოდელზე.

სიყვარულის არითმია

უმაღლეს დონეზე და ჩვეული კრეატიულობით ჩატარდა ქალაქ კანევის (უკრაინა, ჩერკასის ოლქი) საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ამ უნივერსიტეტის რექტორის, ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარის, აკადემიკოს გარი ჩაფიძის, უკრაინის ომში დაღუპული ქართველი მეომრების შესახებ შექმნილი წიგნის „სიყვარულის არითმია“ პრეზენტაცია, წინასწარ შედგენილი პროტოკოლის მიხედვით ღონისძიებაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ: ქალაქ კანევის პირველი ვიცე მერი ტატიანა ჟივოტოვ, რადას დეპუტატი ოქსანა დიმიტრიენკო, კანევის აკაკი წერეთლის სახელობის მეექვსე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ვიოლენტინა ბოგუნოვა, ოლქის ადმინისტრაციის ეროვნული უმცირესობების, ეროვნული ინფორმაციისა და ეროვნული ინფორმაციული ბაზების ოლქის ადმინისტრაციის

რას წერენ ჩვენზე

გარი ჩაფიძეს სხვადასხვა ქვეყანა საბავშვო ბაღის თვითმფრინავში განთავსების ნებართვას სთხოვს

რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელი, ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი – ეს გარი ჩაფიძის საქმიანობათა არასრული ჩამონათვალია. მის სახელს უკავშირდება კრეატიული იდეა საბავშვო ბაღის შესახებ, რომლის ირგვლივაც ვრცლად თავად მოგვიყვება.

გარი ჩაფიძე: წლების განმავლობაში საზღვარგარეთ ვმსახურობდი და იქაც კი იშვიათობა იყო ისეთი რამ, რის განხორციელებასაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვაპირებდი. ეს იყო აკადემიური ქალაქი, ანუ „ყველაფერი – ერთ სივრცეში“, ამაში მდგომარეობდა ჩემი იდეა. დაწყებული ბაგა-ბაღიდან, დასრულებული დოქტურანტურით, ანუ, განათლების ყველა საფეხური. პირველ რიგში, ამისთვის საჭირო იყო პირველი საფეხურის შექმნა, რაც საბავშვო ბაღი გახლავთ და არც მეტი, არც ნაკლები, ის თვითმფრინავში პირველებმა ჩვენ გავხსენით. ეს იყო კრეატივი და ასეთად რჩება დღემდე. ჩვენ ეს ყველაფერი დაპატენტებული გვაქვს. სხვადასხვა ქვეყნიდან მივიღეთ თხოვნა, დიდი სურვილი ჰქონდათ მათაც გაეხსნათ მსგავსი ბაღი, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, ამის უფლებამოსილებას არავის ვაძლევთ, რადგან გვინდა, ეს იყოს ქართული და რუსთავური პროექტი.

აკადემიურ ქალაქში გვაქვს, ფორმალური თუ არაფორმალური პროფესიული განათლება, მომზადება-გადამზადების ცენტრები, კოლეჯები, რაც მთავარია, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. ანუ განათლების ყველა საფეხური – ერთ სივრცეში. ჩვენთან ორი წლის ბავშვი რომ მოჰყავთ, ჩვენგან 25 წლის ასაკში გადის, როგორც მეცნიერებათა დოქტორი, თუ კი მას ამის სურვილი აქვს.

– რაც შეეხება ბაღს, მისი თვითმფრინავში მოწყობის იდეა როგორ დაგებადათ?

– ორი წლის დაწყებული გვქონდა ეს ყველაფერი, როდესაც თვითმფრინავი შევიძინეთ. მე ძალიან ხშირად ვიყავი საზღვარგარეთ. ეს დღემდე ასეა. ხშირად დავფრინავ სხვადასხვა ქვეყანაში და იქ ლექციებს ვკითხულობ. ერთ-ერთი ფრენის დროს, როდესაც მე ოჯახით გახლდით, ჩემი ბიჭი კი ერთი წლისაც არ იყო, თვითმფრინავში მან ლამის შეამტვრია კაბინეტის კარი, აინტერესებდა რა ხდებოდა შიგნით. რადგან ასეთი სურვილი ჰქონდა, შეუშვეს, კანფეტებითაც დაასაჩუქრეს და გახარებული გამოუშვეს. სწორედ მაშინ დამებადა ეს იდეა. როდესაც დანიშნულების ადგილას ჩავფრინდი, თავში უკვე ეს მიტრიალებდა. თავიდანვე ძალიან ორიგინალურად დავიწყეთ ამ იდეის განხორციელება. ყველა პედაგოგს სტიუარდესას ფორმა ეცვა. სადღესასწაულო დღეებში ახლაც იმავეს ვაკეთებთ. თუმცა ჩვენთან ყველა დღე დღესასწაულია. ჩვენი კრეატიულობა მხოლოდ საბავშვო ბაღის თვითმფრინავში განთავსებით არ შემოიფარგლება. აქ სწავლის პროცესიც კრეატიულია. სტანდარტულად, ბაღებში სხვადასხვა დღესასწაულზე ზეიმებს მართავენ ხოლმე. მშობლებს უხარიათ შვილის სცენაზე გამოჩენა და მისი წაკითხული ლექსის ან შესრულებული სიმღერის მოსმენა. ჩვენთან ეს აკრძალულია, არ ტარდება არც საახალწლო და არც საგაზაფხულო ზეიმი. ჩვენთან მთავარია, ბავშვისთვის ყოველი დღე ზეიმი იყოს. გამოვიდეს და თქვას ის, რაც მას უნდა, თუნდაც დამახინჯებულად, მაგრამ ეს ყველაფერი ზეიმის ფორმას იღებს. ბავშვს ყოველდღე უნდა უხაროდეს ბაღში მოსვლა. ჩემი იდეაც ეს იყო. არ მინდოდა, აქ მოსულ ბავშვებს ისე ეტირათ, როგორც სხვა ბაღებში. აქ ხალისით უნდა მოსულიყვნენ და მინდა, გითხრათ, რომ ჩვენ ამას მივაღწიეთ. თუმცა, ერთ რამესაც გეტყვით, სამწუხაროდ, ტირილს მაინც ვერ ავცდით. როცა მიდიან, მაშინ ტირიან... აქედან წასვლა არ უნდათ. იციან, რომ ეს უზარმაზარი სათამაშო მათი კუთვნილებაა და მოსწონთ დროის აქ გატარება. ბავშვები შედიან კაბინაში, სადაც 1500-ზე მეტი ღილაკია და ყველას თავისი დანიშნულება აქვს. ზოგი ხმას გამოსცემს, ზოგი ანათებს და ასე შემდეგ...

სამი წლის ბავშვის თვითმფრინავთან შეხვედრა მართლა საოცარია. თან, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებასთან ერთად, ეს გარემო დიდ ცოდნას აძლევთ თვითმფრინავის შესახებ.

– როგორ მოიპოვეთ თვითმფრინავი?

– დღეს ადამიანმა შეიძლება, ავტომობილიც კი ვერ იშოვოს იაფად, ამ საკითხზე ბევრს ვმუშაობდი. ეს ჩვენი კომერციული საიდუმლოა და მოდი, ასეთად დავტოვოთ. მე რამდენიმე ქვეყნის საპატიო მოქალაქე ვარ, ვარ რამდენიმე ლექსიკონის შემადგენელი, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მიჭერენ მხარს ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩემი იდეების რეალიზებაში და ამ ყველაფრის დამსახურებით მოვახერხე... ეს თვითმფრინავი მოქმედია, მას ორი სიცოცხლე აქვს. თავდაპირველად თავის უპირველეს დანიშნულებას ასრულებდა და ახლა კიდევ ასეთი მნიშვნელოვანი მისია აკისრია. ჩვენ მისი შავი ყუთი გავხსენით, გავშიფრეთ და გავოცდით, მას არც ერთი დარღვევა არ ჰქონია წლების განმავლობაში ფრენის დროს. თუმცა, როდესაც თვითმფრინავი გარკვეულ წლებს იფრენს, მას ჭრიან და ჯართში აბარებენ. ეს დღეს ერთადერთი თვითმფრინავია, რომელმაც მისი ფრენისთვის განკუთვნილი წლების ამოწურვის შემდეგ მეორე სიცოცხლე დაიწყო „ვიაპ“ მგზავრებისთვის, ანუ ჩვენი ბავშვებისთვის.

ქეთი მოდებაძე
ჟურნალი თბილისელები №24 ივნისი 2023 წ.

ახალი მისამართი

თბილისი, კლდიაშვილის 12

ამ დღეებში რუსთავის აკადმიურ ქალაქში, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს გარი ჩაფიძისა და საქველმოქმედო ორგანიზაცია „მომავლის გზის“ დირექტორის დავით კინწურაშვილის სამუშაო შეხვედრა შედგა ტელეკომპანია „ახალის“ ინიციატივით, ვიზიტზე თბილისში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის დაფუძნებს საკითხი განიხილეს

და ყველა დეტალის გაანალიზების შემდეგ გადაწყდა, რომ ქ. თბილისში, დ.კლდიაშვილის №12-ში გაიხსნება ჩვენი ინსტიტუტის კიდევ ერთი აფილირებული სასწავლო ცენტრი, რომელსაც დავით კინწურაშვილი უხელმძღვანელებს.

საქმიან, სამუშაო შეხვედრას, რომელმაც სრულ კოლეგიურ ვითარებაში ჩაიარა ესწრებოდნენ ტელეკომპანია „ახალის“ დამფუძნებელი და დირექტორი ქეთი მიქაძე, ტელეთეატრი „კომპასის“ რეჟისორი ნათია ბალაძე, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემიური ქალაქის სასწავლო კორპუსის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი გენრიეტა აბესაძე და საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ეთერ ჭიპაშვილი.

ტყიბული

ახლებური შემართებით

ქალაქ ტყიბულის სასწავლო ცენტრი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ის მიმართულებაა, რომელსაც განსაკუთრებული ნდობით და სიმპათიით განიხილავენ ჩვენს, მეშახტეთა ქალაქის პედაგოგიურ თუ სამეცნიერო წრეებში, ეს ნდობა კი... წლების მანძილზე დაგროვილმა გამოცდილებამ და პროფესიული სტანდარტებით მომზადებული სტუდენტების ცოდნის დონემ განაპირობა, ქალაქის ცენტრში განთავსებულ ჩვენს სასწავლებელში, რომელიც ინსტიტუტის კუთვნილებაა და თანამედროვეობაზე მორგებული კაბინეტ-ლაბორატორიებით გამოირჩევა, სტუდენტთა უწყვეტი ნაკადის საგზურია, ასეა ახლაც ახალ სასწავლო წელს, ახალი შემართებით, ახალი იდეებით, ახლებური მიდგომებითა და სტუდენტთა დიდი ნაკადით ვიწყებთ...

ირმა ჯიხვაშვილი-გამთენაძე,
ქ. ტყიბულის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

ქუთაისი

ლეპტოსპიროზი

ასე უწოდეს ღია ლექციას, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის სტუდენტებმა, რომელიც მართლაც და საინტერესოდ, მაღალ დონეზე და ორგანზებულად წარმართა დამსახურებულმა ექიმმა, სასწავლო ცენტრის ლექტორმა მზია თვალთვაძემ.

ლეპტოსპიროზი წარმოადგენს, პოტენციურ სერიოზულ დაავადებას, რომელსაც იწვევს ლეპტოსპირას ბაქტერია.

ადამიანების უმეტესობა ინფიცირდება ბაქტერიით დაბინძურებულ მიწასთან ან წყალთან კონტაქტით ღია ჰაერზე ყოფნის დროს;

ცხელება, თავის ტკივილი და სხვა სიმპტომები ჩნდება ორ ფაზაში, რომელთა შორის განსხვავება რამდენიმე დღეა;

მწვავე, პოტენციურად ლეტალური ფორმა აზიანებს ბევრ ორგანოს, მათ შორის ღვიძლსა და თირკმელებს;

დიაგნოზს ადასტურებს სახლში ბაქტერიის საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა ან დაინფიცირებული ქსოვილიდან აღებულ ნიმუშში ბაქტერიის აღმოჩენა;

ინიშნება ანტიბიოტიკები და ზოგჯერ – მარილის შემცველი სითხეები, მაგრამ დაავადების მძიმე ფორმის მქონეთ შესაძლებელია დასჭირდეთ გადასხმები და ჰემოდიალიზი.

ლეპტოსპიროზი ჩნდება ბევრ შინაურ და გარეულ ცხოველში. ზოგიერთი ცხოველი წარმოადგენს

გადამტანს და გამოყოფს ბაქტერიებს შარდში. ზოგიერთი ცხოველი ავადდება და კვდება. ადამიანები ინფიცირდებიან პირდაპირი გზით – დაინფიცირებული ცხოველებისგან ან არაპირდაპირი გზით – დაინფიცირებული ცხოველის შარდით დაბინძურებული მიწის ან წყლის მეშვეობით.

დაინფიცირებული ადამიანების 90%-ში სიმპტომები მსუბუქი ხასიათისაა. სხვა შემთხვევებში, დაავადება აზიანებს ბევრ ორგანოს. ლეპტოსპიროზის ამ პოტენციურად ლეტალურ ფორმას ვაილის სინდრომი ეწოდება.

ლეპტოსპიროზი ჩვეულებრივ მიმდინარეობს ორი ფაზით:

პირველი ფაზა: ინფექციის გაჩენიდან 2-20 დღის შემდეგ მოულოდნელად იწყება: ცხელება, თავის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, ზურგისა და წვივის უკანა ნაწილის კუნთების მწვავე ტკივილები და შემცივნება. თვალები ძალიან წითლდება მესამე ან მეოთხე დღეს. ზოგიერთ პაციენტს აქვს ხველა, ზოგჯერ სისხლიანი ნახველით, და ზოგიერთ მათგანს აქვს ტკივილი გულმკერდის არეში. ადამიანების უმეტესობა გამოჯანმრთელდება ერთი კვირის განმავლობაში.

მეორე (იმუნური) ფაზა: ზოგიერთ შემთხვევაში სიმპტომები მეორდება რამდენიმე დღის შემდეგ. მათი ხელახლა გაჩენის მიზეზია იმუნური ანთება, რომელიც ვითარდება იმუნური სისტემის მიერ ორგანიზმიდან ბაქტერიის მოცილების პროცესში. ცხელება ბრუნდება და ვითარდება თავისა და ზურგის მფარავი ქსოვილების (მენინგეალური გარსები) ანთება. ეს ანთება (მენინგიტი) იწვევს კისრის კუნთების რიგიდობას და თავის ტკივილს.

ანტიბიოტიკ დოქსიციკლინს შეუძლია ლეპტოსპიროზის განვითარების თავიდან აცილება. ის ეძლევა ადამიანებს, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ბაქტერიასთან და ამავდროულად, ადამიანებს, რომლებიც დაინფიცირდნენ.

ინფექციის მსუბუქ ფორმებს მკურნალობენ ანტიბიოტიკების, როგორიცაა ამოქსიცილინი ან დოქსიციკლინი, დასალევი ფორმებით. ინფექციის მწვავე ფორმების დროს საჭიროა ანტიბიოტიკების, როგორიცაა მაგ. პენიცილინი, დოქსიციკლინი ან ერითრომიცანი, ინტრავენურად დანიშვნა. შესაძლებელია აგრეთვე მარილის შემცველი სითხეების მიცემა.

ის ჩვენი კურსდამთავრებულია!

გაიცანით ფარმაცევტული კომპანია „ფარმსახლის“ მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული ლიკა მერუჟაშვილი

ორი სპექტაკლი გამარჯვებულთათვის

მთელი თვე მიმდინარეობდა და მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ერთობათა ინსტიტუტის სტუდენტთა ოცდამეცხრე სამეცნიერო კონფერენცია რომელიც ინსტიტუტის ყველა აფილირებულ სასწავლო ცენტრში ერთდროულად წარიმართა და რომელმაც სტუდენტთა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მოგეხსენებათ, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღნიშნული მეთოდი, მხოლოდ გამარჯვებაზეა ორიენტირებული და მას დამარცხებული არ ჰყავს, რამეთუ სტუდენტმა, თავისი საკონფერენციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელ ლექტორთან ერთად დამატებითი შემეცნებითი განათლება მიიღო, მაგრამ რჩეულთა შორის რჩეულები მაინც გამოყო ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ და მათ ოქროს სიგელების გადაცემასთან ერთად, სიურპრიზად, ქ. თბილისში, რუსთაველის ეროვნული თეატრისა და ქ.რუსთავში გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრის სპექტაკლზე დასასწრებად მოსაწვევები გადასცა... რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე წარმართული სპექტაკლი ზმანება, ერთ დიდ აქტად სიტყვების გარეშე „ერთხელ... მხოლოდ...“ იდეის ავტორ და რეჟისორ რობერტ სტურუას შემოქმედებაა, მასვე ეკუთვნის სპექტაკლის მუსიკალური გაფორმებაც, მხატვრობა კი ანა ნინუას, ქორეოგრაფია კოტე ფირცულაძეს, რეჟისორის თანაშემწე თეა მარგველაშვილი, უნიჭიერესი მსახიობები: გოგა ბარბაქაძის, ქეთი სვანიძის, მანანა აბრამიშვილის, ანა ამილახვრის, ეკა მინდიაშვილის, ნინო არსენაშვილის, ეკა მოლოდინაშვილის და სხვათა მიერ განხორციელებულმა სახეებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენს პედაგოგებსა და სტუდენტებზე, მათ ნიჭიერებას დიდხანს უკრავდა ტაშს მაყურებელი... რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიულ მუნიციპალურ დრამატულ თეატრს კი სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების სამეცნიერო თემების ხელმძღვანელები: ეკა პაპუნაშვილი, ზეინაბ ლამაზოშვილი, მანანა ჩხაიძე, თინათინ ხაბურზანია, ლეილა გეგეშიძე, ნურანა ბაბაევა თავიანთ სტუდენტებთან ერთად სტუმრობდნენ. გიორგი გორინის „ბარონი მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალების“ მიხედვით, რეჟისორი რატი ლაბაძის მიერ დადგმულ სპექტაკლზე: „ყველაზე მართალი ადამიანი“, ჩვენება იმდენად საინტერესო იყო, რომ ინსტიტუტში აღნიშნული სპექტაკლის განხილვაც მოეწყო განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ქეთევან ცისკარაშვილის ორგანიზებით.

გამოსათხოვარი

ჩვენი შორენა!

წავიდა ჩვენგან, მარადიულობაში გადასახლდა, სრულიად ახალგაზრდა, თავის საქმესა და სტუდენტებზე უსაზღვროდ შეყვარებული მისაბაძი კოლეგა და მეგობარი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.ქუთაისის სასწავლო ცენტრის ფარმაციის სპეციალობის კურატორი შორენა საღინაძე.

არ არსებობს სიტყვები, რომ გამოვხატოთ ჩვენი სულის მთელი ტკივილი და მწუხარება, ქალბატონი შორენა წლების განმავლობაში უდიდესი ენერგიითა და ერუდიციით მსახურობდა ჩვენს სასწავლებელში, უამრავი სტუდენტი დააფრთიანა და მისცა ცხოვრებაში პროფესიის საგზური, დიდი მწუხარება ვერ გაიზომება, მწუხარება ცრემლით ვერ ივსება, მასში ყველაფერი იყო, სულიერებაც, ნიჭიც, ცოდნაც, სილამაზეც და ენერგიაც, ამიტომაც გახდა მისი გარდაცვალება ტკივილის ეპიცენტრი.

ჩვენო შორენა! მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა!

კოლეგები

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00 27-99-00; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369